მედიაკომუნიკაციის დოქტორის, **იფეინგა ვირჯინია ავაგუს** მოსაზრებით, „აკადემიურ კვლევას აქვს კომუნიკაციური მიზანი, რომელიც განსაზღვრავს დისკურსის სტრუქტურასა და რიტორიკის, თხრობის სტილის არჩევანს. სამეცნიერო ენა, თუმცა კი ემორჩილება გარკვეული ჟანრების სპეციფიკას, თავისი ბუნებით ფორმალური და ფაქტებზე დაფუძნებული, ასევე ობიექტური და ანალიტიკურია. ის ზუსტი, ლაკონიური და ანალიტიკური უნდა იყოს. დისკურსი სამეცნიერო ენის შესახებ კროს-კულტურულ კონტექსტში პრაქტიკულ ასპექტებს იძენს სოციოლინგვისტურ, ეთნოგრაფიულ, მთარგმნელობით, ლოგიკისა და პედაგოგიურ მიმართულებებში“ (Awagu 2021: 51-55).

ენათმეცნიერი, სისტემურ - ფუნქციური ლინგვისტიკის თეორიის ფუძემდებელი **მაიკლ ჰალიდეი** სტატიაში *The Language of Science* აღნიშნავს: „როდესაც განვიხილავთ ენის ისეთ ნაირსახეობას, როგორიც მეცნიერების ენაა, შესაძლოა, უკეთესადაც ავხსნათ მისი ევოლუცია, განვითარების გზა. არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას უფრო ხანმოკლე ისტორია აქვს, არამედ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც მას ენის სხვა ნაირსახეობებისგან განასხვავებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარემო პირობებთან მიმართებაში სამეცნიერო დისკურსმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უაღრესად რთული იდეოლოგიური კონსტრუქციების შექმნასა და დაცვაში, და გრამატიკამაც ევოლუცია განიცადა, რათა ეს დისკურსი შესაძლებელი გაეხადა... გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერების ენამ ჩვენი მსოფლმხედველობა მთლიანად შეცვალა“ (Halliday 2004: 210-211).

როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ენა ზუსტი, ფორმალიზებული ენაა, რომელსაც საკუთარი წესები და დათქმები აქვს. სამეცნიერო ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკის ის დარგია, რომელიც მედიამასალის შესაქმნელად, საინფორმაციო

საბაბად სამეცნიერო ინფორმაციას, კვლევას, აღმოჩენას იყენებს. შესაბამისად, სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენა მეცნიერების ენის გავლენას განიცდის. ამასთან, სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ტერმინოლოგიით გადატვირთული სამეცნიერო ტექსტი სამეცნიერო-ტექნიკური ენისაგან განსხვავებულ, პოპულარულ ენაზე გადასცეს ფართო საზოგადოებას.

თანამედროვე სამეცნიერო დისკურსი სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენის შესახებ მრავალგანზომილებიანი, კომპლექსურია და საკითხთა ფართო წრეს მოიცავს ლინგვისტური ანალიზიდან კულტურულ - სოციალურ ასპექტებამდე. ჟურნალისტიკა, მათ შორის, სამეცნიერო ჟურნალისტიკა იყენებს პუბლიცისტურ (ჟურნალისტურ) ფუნქციურ სტილს, რომელიც ძირითადად განსხვავდება სამეცნიერო ფუნქციური სტილისაგან; ეს უკანასკნელი სალიტერატურო ენის ერთ-ერთი წამყვანი სტილია. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ფუნქციური სტილი საქმიანობის განსაზღვრულ სფეროში გამოიყენება, ესა თუ ის სტილი ირჩევს იმ ენობრივ ხერხებს (მორფოლოგიური ფორმები, სინტაქსური კონსტრუქციები), რომელიც მის მიზნებსა და ამოცანებს შეესაბამება. **არნოლდ ჩიქობავა** განსაკუთრებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სამეცნიერო ენის, ტერმინოლოგიის განვითარების როლს სალიტერატურო ენის გამდიდრება-განვითარებაში: „ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიდგა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველომ და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა და ეს მოასწავებდა ქართული სამეცნიერო აზროვნების აღორძინებას“ (ჩიქობავა 1972: 11).

რაც შეეხება განსხვავებას სამეცნიერო და პუბლიცისტურ სტილებს შორის, „სამეცნიერო სტილის ინტელექტუალურ-საკომუნიკაციო ფუნქცია მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემა კი არ არის, არამედ მისი ჭეშმარიტების მტკიცება, მიღებული შედეგების მნიშვნელობის აღნიშვნა და შეფასებაცაა“ (კვარაცხელია 1990: 12-16); ხოლო პუბლიცისტური სტილი, რომელსაც ჟურნალისტიკა, მათ შორის, სამეცნიერო ჟურნალისტიკა იყენებს, „გულისხმობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა ენის თავისებურებას. რამდენადაც თანამედროვე მსოფლიოში მასობრივი კომუნიკაციის მასშტაბები განუზომელია, ხოლო სახეობები და ფორმები –

მეტად მრავალფეროვანი, პუბლიცისტიკაში ინფორმაცია-კომუნიკაციის დიდი ნაირგვარობა იგულისხმება – დაწვებული ნეიტრალური, მშრალი ინფორმაციით და დამთავრებული აქტიური სუბიექტური პუბლიცისტური პათოსით“ (არაბული 2008: 196).

მკვლევრები ლარს გიუნთერი და ანტონია ვებერი მიიჩნევენ, რომ „სამეცნიერო ჟურნალისტიკა არის მედიატორი, შუამავალი მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის; შესაბამისად, ეს არის ჟურნალისტიკა, რომელიც აშუქებს მეცნიერების სფეროს... თავისი ენის მეშვეობით სამეცნიერო ჟურნალისტიკა გვევლინება ხიდად მეცნიერებასა და ფართო საზოგადოებას შორის. ერთი მხრივ, სამეცნიერო პრობლემები რთული და ბუნდოვანი, ზოგჯერ წინააღმდეგობრივიცაა; მეორე მხრივ კი, სამეცნიერო ჟურნალისტიკის აუდიტორია არ არის გათვითცნობიერებული სამეცნიერო თემების უმრავლესობაში და შეუძლია ჟურნალისტიკისგან მოითხოვოს სამეცნიერო ინფორმაციის „თარგმნა“ მისთვის გასაგებ ენაზე - სამეცნიერო ენის უფრო ადვილად აღსაქმელ ჟურნალისტურ ენაზე თარგმნა“ (Guenther&Weber 2019: 47).

იმელდა სუპადჯა სამეცნიერო ნაშრომში *Scientific News as a Genre: a Linguistic Account of ‘Distortion’ of Scientific Information* ჟურადლებას ამახვილებს სამეცნიერო ჟურნალისტიკის, მისი ენის სირთულეებსა და გამოწვევებზე, იმ ფაქტორზე, რომ მასმედია, მეცნიერებისგან განსხვავებით, მეტად არის მიდრეკილი სენსაციისადმი. „მეცნიერების პოპულარიზაციისას, სამეცნიერო ჟურნალისტიკის, როგორც მედიატორის ფუნქციაა სამეცნიერო ინფორმაციის თარგმნა და გადაცემა საზოგადოებისათვის. თუმცა, სამეცნიერო სიახლეები, რომელიც შუქდება სამეცნიერო ჟურნალისტების მიერ, სამეცნიერო საზოგადოების შეფასებით, ხშირად „დამახინჯებულია“. აღნიშნული ტერმინი „დამახინჯება“ გულისხმობს მიდრეკილებას მიკერძოებული და სენსაციური თხრობისადმი. „დამახინჯებული“ ინფორმაციის შესამცირებლად, მეცნიერები ჟურნალისტებს სთავაზობენ სხვადასხვა გზებს, როგორებიცაა - ქცევის კოდექსი, სახელმძღვანელო პრინციპები, „სიზუსტეზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა“ და „კრიტიკული სამედიცინო ჟურნალისტიკა“. ამგვარი მექანიზმების ფორმირება მიგვითითებს, რომ სამეცნიერო სიახლეებში ფაქტების „და-

მახინჯებისთვის“ პასუხისმგებლობა ჟურნალისტებს ეკისრებათ. თუმცა, ზემოაღნიშნული საშუალებების ეფექტიანობა ეჭვქვეშ დგას. შესაბამისად, აღნიშნული ნაშრომი სამეცნიერო სიახლეებისთვის დამახასიათებელი ფაქტების „დამახინჯების“ ალტერნატიული ანალიზია“ (Suhardja 2006: 1).

რენი ლიუს სამეცნიერო ნაშრომი Stylistic Characteristics of Scientific News (2023) მოიცავს სამეცნიერო სიახლეების სტილისტური მახასიათებლების მრავალმხრივ ანალიზს. „მასში განხილულია ის უნიკალური ლექსიკური, სინტაქსური და რიტორიკული ელემენტები, რომლებიც სამეცნიერო სიახლეების თხრობის სტილს ჟურნალისტიკის სხვა ფორმებისგან განასხვავებს... სამეცნიერო სიახლეების სფეროში ლექსიკონი სისტემურად შეიძლება სამ განსხვავებულ ფენად დაიყოს: 1. ტექნიკური ტერმინები, რომლებიც მოიცავს სპეციფიკურ სამეცნიერო და ტექნიკურ ჟარგონს; 2. ნახევრადტექნიკური სიტყვები, რომლებიც წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინისთვის საერთო საბაზისო ლექსიკას; და 3. არატექნიკური სიტყვები, რომლებიც ზოგად ენას იყენებს და ყველა სფეროსთვის საერთო ლინგვისტურ საფუძველს ქმნის. სამეცნიერო სიახლეების ლექსიკური შემადგენლობა ამ კატეგორიების სტრატეგიული გაერთიანებით ხასიათდება“ (Liu 2023: 21-23).

მკვლევარი **ჯორდან ბაჩელორი** პუბლიკაციაში Whose stance is it, anyway? A corpus based study of stance expressions in science news articles სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენის რამდენიმე პარამეტრს მიმოიხილავს: „სხვადასხვა კვლევაში შესწავლილია მეთოდები, რომლითაც სამეცნიერო ახალი ამბების ავტორები საკუთარ დამოკიდებულებასა და შეფასებას, თვალსაზრისს გამოხატავენ და ნაჩვენებია მათი არაერთგვაროვანი შედეგები. გამოვლინდა, რომ თვითონ მეცნიერთა სასაუბრო ენა მეტ გავლენას ახდენს სამეცნიერო თემატიკის მედიაპუბლიკაციების საერთო პოზიციაზე, ვიდრე მათი ავტორების, რისი დასტურიცაა მოდალური ზმნების, პოზიციის გამომხატველი ზმნების და ზედსართავების ფართო გამოყენება, რომლებიც დამატებით წინადადებებს მართავენ, შეფასებითი ზმნიზედებისა და სხვა ლინგვისტური „გამაძლიერებლების“ ჩათვლით... ნაშრომში გაანალიზებული და შედარებულია ენის გამომსახველობითი საშუალებები, რომლებსაც იყენებენ სამეცნიერო

ჟურნალისტები და თვითონ ის მკვლევრები, რომელთაც ისინი ციტირებენ მედიატექსტებში. დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს: „კვლევაში მიზნად დავისახე, შემედარებინა, თუ რით განსხვავდება სამეცნიერო საინფორმაციო სტატიებში პირდაპირი ციტირების გზით წარმოდგენილი მკვლევართა თხრობის სტილი თვით ამ მედიაპუბლიკაციების ავტორთა ენისგან შეფასებითი დამოკიდებულების გამოხატვის თვალსაზრისით“ (Batchelor 2024: 93-111).

ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გამო, საერთაშორისო ტერმინების, უცხო სიტყვების, მათ შორის, ბარბარიზმებისა და ჟარგონის გამოყენება განსაკუთრებით არის დამახასიათებელი სამეცნიერო თემატიკის მედიატექსტებისთვის.

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, **თინათინ ზაქარაშვილი** მიიჩნევს, რომ „21-ე საუკუნეში, ენის უცხო სიტყვებითა და ჟარგონიზმებით დაბინძურების საფრთხე არსებობს და ოქროს შუალედის პოვნაა საჭირო, რომელიც თანამედროვე ენასაც გაამდიდრებს ნეოლოგიზმებითა თუ უცხო სიტყვებით და ქართული ენის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებასაც შეინარჩუნებს. ტექნიკურ პროგრესთან ერთად არაერთი სიტყვა ვრცელდება მსოფლიოში და სხვადასხვა ენაში მკვიდრდება. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ მათი ანალოგი არ მოიძებნება ენაში“ (ზაქარაშვილი 2021: 140-141).

მედიამკვლევარი **ალფრედ ჰერმიდა** სტატიაში Revitalizing Science Journalism for a Digital Age (2010) იმ ახალ შესაძლებლობებს წარმოაჩენს, რომელიც ციფრულმა ფორმატმა შესძინა სამეცნიერო ჟურნალისტიკას: „სხვა მედიასაშუალებებთან, მაგალითად, ტელევიზიასა და გაზეთებთან შედარებით, ციფრულ პლატფორმებს შეუძლიათ სამეცნიერო ჟურნალისტიკას თემებისა და ხმების მეტი მრავალფეროვნება შესთავაზონ. ონლაინ ჟურნალისტიკის მულტიმედიური, არაწრფივი და ქსელური ბუნება ჟურნალისტებს უბიძგებს, ციფრულ ეპოქაში გადაიაზრონ თხრობის ფორმები. გლობალური ვებბრუნვა სამეცნიერო ჟურნალისტიკისთვის რთულ საკითხებში ჩაღრმავების მრავალ შესაძლებლობას ქმნის“ (Hermida 2010: 86).


4. ემპირიულ მონაცემთა ანალიზი და კვლევის შედეგები

4.1. პუბლიკაციების თემატური გადანაწილება

ემპირიული მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ციფრულ მედიაპლატფორმებზე სამეცნიერო თემატიკის გაშუქებისას მკაფიო დომინანტობით ხასიათდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. გამოკვლეული 70 სტატიიდან თემატიკის მიხედვით პუბლიკაციების რაოდენობრივი და პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირია:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: 36 სტატია (51%)
- მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები: 21 სტატია (30%)
- ინჟინერია და ტექნოლოგიები: 6 სტატია (9%)
- ჰუმანიტარული მეცნიერებები: 4 სტატია (6%)
- სოციალური მეცნიერებები: 3 სტატია (4%)

თემატიკის მიხედვით პუბლიკაციების პროცენტული გადანაწილება



ცხრილი 1: თემატიკის მიხედვით პუბლიკაციების პროცენტული და რაოდენობრივი გადანაწილება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (მათ შორის კომპიუტერული, საინფორმაციო და კოსმოსური მეცნიერებების) და მედიცინის დარგების აქტიური გაშუქება პირდაპირ კავშირშია თანამედროვე საზოგადოებრივ-სოციალურ მოთხოვნებთან. აღნიშნული სფეროების ტექნოლოგიური პროგრესი უშუალო გავლენას ახდენს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე, რაც განაპირობებს მათზე მაღალ მედიამოთხოვნას. პირიქით, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების წილი კორპუსში საგრძნობლად დაბალია (ჯამში 10%).

4.2. მულტიმედიური და ჰიპერტექსტუალური მახასიათებლები

ახალი მედიის პირობებში სამეცნიერო ინფორმაციის კონსტრუირება მულტიმედიური თხრობის ფორმატში მიმდინარეობს. როგორც კვლევამ აჩვენა, უპირატესობა ენიჭება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, აქტიურად შექდება სამედიცინო და ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სფეროებში მიმდინარე პროცესები, რაც მიზეზშედგებორივ კავშირშია ამჟამინდელ საზოგადოებრივ-სოციალურ ვითარებასთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შედის კომპიუტერული, საინფორმაციო მეცნიერებანი, ასევე ასტრონომია, კოსმოსური მეცნიერებანი, რომელთა დაჩქარებული ტემპით განვითარება დიდ გავლენას ახდენს ადამიანების, მათ შორის, მეცნიერების სფეროსგან ძალზე შორს მდგომების, ყოველდღიურ ცხოვრებაზე. შედარებით ნაკლებია ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პრობლემატიკის ამსახველი მედიაპუბლიკაციების წილი.


ასევე, როგორც ანალიზმა ცხადყო, მედიატექსტების ავტორები, უმეტესწილად, მიმართავენ მულტიმედიური თხრობის ფორმატს - ხმოვანი და წერილობითი ფორმის, მოძრავი და უძრავი გამოსახულებების, გრაფიკული ანიმაციების, ინტერაქტიური და ჰიპერტექსტუალური მახასიათებლების ერთობლიობას.

კვლევამ გამოავლინა ჰიპერტექსტუალობის მაღალი ინტეგრაცია: გაანალიზებული 70 სტატიიდან 61-ში (87%) ფიქსირდება აქტიური ჰიპერბმულები. აღნიშნული ბმულები მკითხველს სთავაზობს მსგავსი თემატიკის პირველწყარო სამეცნიერო ტექსტებს, ვიდეო-აუდიომასალასა და გრაფიკულ ილუსტრაციებს. პუბლიკაციების მხოლოდ 13%-ში არ გვხვდება ჰიპერტექსტუალური გადამისამართება.

4.3. კორპუსის რაოდენობრივი ლინგვისტური მაჩვენებლები


მთლიანი სამეცნიერო-პოპულარული კორპუსის (ტექსტების ნაკრების) ანალიზმა პარამეტრების მიხედვით შემდეგი სტატისტიკა გამოავლინა:

- ტოკენების საერთო რაოდენობა: 27 046
- უნიკალური სიტყვები (ტიპები): 9 299
- კორპუსის მთლიანი TTR (ლექსიკური მრავალფეროვნება): 34%
- სიტყვათა საშუალო სიმჭიდროვე კორპუსში: 0.344
- წაკითხვადობის ინდექსი: 190
- წინადადების საშუალო სიგრძე: 17.4 სიტყვა



ცხრილი 2: სრული კორპუსის მონაცემთა ლინგვისტური სტატისტიკა

ცალკეული ტექსტის სტატისტიკა ასეთია, მაგალითად, ტექსტი 2-ის მონაცემთა ანალიზისას იკვეთება გარკვეული ტენდენციები, რომლებიც დამახასიათებელია სამეცნიერო ჟურნალისტიკის ჟანრის მედიატექსტებისთვის. ორივე საინფორმაციო პორტალზე განთავსებული მედიატექსტების პარამეტრები შევაჯამეთ ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:



ცხრილი 3: მე-2 ტექსტის მონაცემთა სტატისტიკა

მთლიანი კორპუსის მასშტაბით მიღებული დაბალი TTR მაჩვენებელი (34%) ბუნებრივი კანონზომიერებაა დიდი მოცულობის ტექსტებისთვის, რაც გრამატიკული და ფუნქციური სიტყვების (მაგ. „და“, „რომ“, „ამ“) მაღალი სიხშირითა და განმეორებადობით არის განპირობებული. თუმცა, როდესაც ლინგვისტური პარამეტრები ცალკეული სტატიების დონეზე შევისწავლეთ, სრულიად განსხვავებული სურათი მივიღეთ.

4.4. ლექსიკური მრავალფეროვნებისა და სიმჭიდროვის დიფერენცია

ცალკეული პუბლიკაციების დონეზე ლექსიკური მრავალფეროვნების ინდექსი (TTR) ძალიან მაღალია და ძირითადად 52%-დან 87%-მდე მერყეობს (შდრ. მაგალითად, ტექსტი N62 — 52% და ტექსტი N33 — 87%). ეს მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული სტატია ინდივიდუალურად მდიდარი, ვარიაციული ლექსიკითაა დაწერილი.

სიტყვათა სიმჭიდროვე (Lexical Density) ცალკეულ სტატიებში სტაბილურად მაღალია და უმეტესად 0.65-იდან 0.85-ის ფარგლებში ფიქსირდება. ეს ადასტურებს, რომ ტექსტები მაქსიმალურად არის გაჯერებული შინაარსის მატარებელი ერთეულებით (დარგობრივი ტერმინებით, სახელებით) და მინიმუმამდეა დაყვანილი ცარიელი კონსტრუქციები, რაც სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის მაღალ საინფორმაციო ტევადობაზე მოწმობს.

ტექსტების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა უკიდურესი პოლარიზაცია სტრუქტურულ კონცენტრაციას შორის. თვალსაჩინოებისათვის შევადარებთ ორ ტექსტს: N33 და N62. შედარების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი განსხვავებები:

- **ინფორმაციული კონცენტრაცია:** ტექსტი N33 უკიდურესად გაჯერებულია შინაარსობრივი სიტყვებით. ტექსტში N62 კი ყოველი მეორე სიტყვა დამხმარე ხასიათისაა.
- **ლექსიკის გამეორება:** ტექსტში N33 სიტყვები თითქმის არ მეორდება (TTR 87%). ტექსტი N62 შეიცავს ერთი და იმავე სიტყვების ხშირ გამეორებას (TTR 52%).

- **მოცულობის გაგლეჩა:** დაბალი სიმჭიდროვის ტექსტი ორჯერ უფრო დიდია. საანალიზო ტექსტის დიდი მოცულობა ხშირად ზრდის დამხმარე კონსტრუქციების წილს.

რაც შეეხება მედიატექსტების სირთულესა და სტილს, N33-ე ტექსტი კონცენტრირებული სამეცნიერო თეზისის სტრუქტურას გვიჩვენებს, ხოლო N62-ე ტექსტი უფრო მეტად უახლოვდება თხრობით ან პოპულარულ სტილს.

4.5. დარგობრივი დისკურსის სპეციფიკა (ზუსტი და ჰუმანიტარული მეცნიერებები) და შედარებითი ანალიზის შედეგები

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მედიატექსტების შედარებითი ანალიზი. ანალიზს დავიწყებთ ტექსტების წაკითხვადობის ინდექსის განხილვით, ანუ საკითხით, რამდენად მარტივია მკითხველისთვის ტექსტის აღქმა. ეს პარამეტრი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით განისაზღვრება: ვრცელია თუ არა წინადადებები, რამდენია სიტყვებში ასოებისა და მარცვლების რაოდენობა, რთული სიტყვების წილი, ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები.

ცალკეული სტატიების წაკითხვადობის ინდექსი თავსდება დაახლოებით 20-იდან 30-ამდე დიაპაზონში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ტექსტები საკმაოდ რთული წასაკითხია, რაც კანონზომიერია სამეცნიერო თემატიკის მედიატექსტებისთვის. აქვე იკვეთება შემდეგი ტენდენცია: საბუნებისმეტყველო, მედიცინის, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მეცნიერებათა თემატიკის მედიაპუბლიკაციებთან შედარებით, დაბალია ჰუმანიტარული და სოციალური სფეროს ამსახველი მედიატექსტების წაკითხვადობის ინდექსი, რაც მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი უფრო რთული წასაკითხია. ჰუმანიტარული და სოციალური სფეროს მედიატექსტებში წაკითხვადობის ინდექსი 20-იდან 23-ამდეა, მაშინ როცა საბუნებისმეტყველო, მედიცინისა და ინჟინერიის თემატიკის სტატიებში ეს მაჩვენებელი - 20-იდან 30-ამდე მერყეობს.

შესაბამისად, ჰუმანიტარული მიმართულების მედიატექსტებში უფრო მაღალია მეორე პარამეტრი - სიტყვათა საშუალო რაოდენობა წინადადებაში, რომელიც, თავის მხრივ წაკითხვადობის ინდექსის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. შესაბამისად, ამ ორ ცვლადს შორის უარყოფითი კორელაციაა. აღნიშნული

ანალიზი ცხადყოფს, რომ ჰუმანიტარული თემატიკის ტექსტებში თხრობა უფრო ვრცელია, ცალკეული წინადადებების სტრუქტურა მეტად რთული, სინტაქსური ბმები - მრავალფეროვანი; ასევე, ამ პუბლიკაციებში უფრო მაღალია ლექსიკური სიმჭიდროვე, ე.ი. მეტადაა გაჯერებული ცნებებითა და დარგობრივი სამეცნიერო ტერმინოლოგიით. საფუძვლიანია ვივარაუდოთ, რომ ამ ტექსტების ავტორი სამეცნიერო ჟურნალისტები მიიხსენიებენ, რომ ჰუმანიტარული და სოციალური სფეროს სამეცნიერო ტერმინოლოგია საშუალო მკითხველისთვის მარტივად გასაგებია ტექნიკურ ტერმინებთან შედარებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენილია მედიატექსტების ლინგვისტური პარამეტრების (ლექსიკური სიმჭიდროვე, წაკითხვალობის ინდექსი, სიტყვათა საშუალო რაოდენობა) შედარებითი სტატისტიკა სამეცნიერო სფეროების მიხედვით:

	სამეცნიერო სფერო	სიტყვათა სიმჭიდროვე	წაკითხვალობის ინდექსი	სიტყვათა საშუალო რაოდენობა
1	მედიც.	0.659	23.308	10.8
2	ჰუმანიტ.	0.738	22.143	12.2
3	მედიც.	0.727	23.575	15,7
4	ინჟ&ტექნ.	0.793	29.969	15.9
5	საბუნებ.	0.799	22.888	13.4
6	საბუნებ.	0.811	25.988	14.6
7	მედიც.	0.722	25.399	23.3
8	მედიც.	0.620	23.502	16.4
9	საბუნებ.	0.658	20.854	16.2
10	საბუნებ.	0.721	22.648	17.0
11	საბუნებ.	0.720	22.610	17.2
12	ჰუმანიტ.	0.663	22.742	18.9
13	მედიც.	0.709	22.988	21.3
14	საბუნებ.	0.639	26.558	18.1
15	მედიც.	0.648	22.582	19.5

16	საბუნებ.	0.716	26.341	18.7
17	მედიც.	0.683	22.135	17.1
18	ინჟ&ტექნ.	0.745	26.638	17.1
19	საბუნებ.	0.735	26.041	19.2
20	მედიც.	0.728	23.785	20.2
21	საბუნებ.	0.722	23.133	16.0
22	საბუნებ.	0.674	27.072	14.0
23	საბუნებ.	0.673	23.402	14.5
24	საბუნებ.	0.701	28.358	13.1
25	საბუნებ.	0.740	22.904	16.0
26	საბუნებ.	0.792	24.537	15.8
27	საბუნებ.	0.731	22.262	19.0
28	საბუნებ.	0.740	24.600	14.9
29	საბუნებ.	0.686	23.772	16.3
30	ინჟ&ტექნ.	0.746	23.279	19.7
31	საბუნებ.	0.736	22.009	18.7
32	საბუნებ.	0.722	24.729	22.0
33	სოციალ.	0.865 მ	23.772	16.0
34	საბუნებ.	0.730	23.855	20.5
35	საბუნებ.	0.598	21.561	16.9
36	საბუნებ.	0.715	23.900	18.5
37	მედიც.	0.813	22.863	20.6
38	სოციალ.	0.845	24.731	19.3
39	მედიც.	0.652	24.996	15.7
40	საბუნებ.	0.807	22.210	17.5
41	საბუნებ.	0.808	21.941	16.5
42	საბუნებ.	0.778	26.526	20.4
43	ჰუმანიტ.	0.806	20.593	24.5
44	მედიც.	0.823	23.194	18.7

45	საბუნებ.	0.721	21.251	24.2
46	საბუნებ.	0.653	22.889	20.4
47	საბუნებ.	0.772	22.566	19.0
48	მედიც.	0.796	23.016	26.1
49	საბუნებ.	0.792	23.333	18.5
50	საბუნებ.	0.840	23.201	20.9
51	ინჟ&ტექნ.	0.809	24.658	23.4
52	მედიც.	0.710	23.660	17.4
53	საბუნებ.	0.820	22.784	30.0
54	მედიც.	0.721	25.724	13.5
55	ჰუმანიტ.	0.661	20.754	19.0
56	მედიც.	0.774	26.831	16.4
57	ინჟ&ტექნ	0.770	20.898	22.1
58	ინჟ&ტექნ.	0.734	24.373	19.0
59	სოციალ.	0.738	21.384	13.2
60	მედიც.	0.766	23.457	22.3
61	საბუნებ.	0.781	22.495	17.1
62	მედიც.	0.516	26.528	18.0
63	მედიც.	0.824	23.254	17.5
64	მედიც.	0.782	26.145	17.1
65	საბუნებ.	0.807	20.678	20.7
66	მედიც.	0.642	23.630	17.8
67	საბუნებ.	0.736	25.033	18.6
68	საბუნებ.	0.610	23.585	18.5
69	საბუნებ.	0.668	22.160	15.7
70	მედიც.	0.773	22.290	17.9

ცხრილი 4: კორპუსში შემავალი სტატიების შედარებითი სტატისტიკა ლინგვისტური პარამეტრებისა და დარგების მიხედვით

ჩვენი ანალიზის და დასკვნების საილუსტრაციოდ მოგვყავს ორი ცხრილი:

ცხრილი 5: აქ სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მედიატექსტები შედარებულია ლინგვისტური მონაცემების დიაპაზონის (მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებელი) მიხედვით.

სამეცნ.მიმართულება/ ლინგვ. კრიტერიუმი	საბუნებისმეტყველო, მედიცინა და ინჟინერია	ჰუმანიტარული და სოციალური
სიტყვათა სიმჭიდროვე	0.516 - 0.824	0.661 - 0.865
წაკითხვადობის ინდექსი	20.678 - 29.969	20.593 - 24.731
სიტყვათა საშუალო რაოდენობა	10.8 - 26.1	12.2 - 30.00

ცხრილი 5: მედიატექსტების შედარება ლინგვისტური მონაცემების დიაპაზონის (მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებელი) მიხედვით

მომდევნო ცხრილში (**ცხრილი N6**) შედარებულია იმავე პარამეტრების საშუალო მაჩვენებლები (საშუალო არითმეტიკული):

სამეცნ.მიმართულება/ ლინგვ. კრიტერიუმი	საბუნებისმეტყველო, მედიცინა და ინჟინერია	ჰუმანიტარული და სოციალური
სიტყვათა სიმჭიდროვე	0.728	0.782
წაკითხვადობის ინდექსი	23.862	22.309
სიტყვათა საშუალო რაოდენობა	18.1	19.17

ცხრილი 6: მედიატექსტების შედარება ლინგვისტური პარამეტრების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში ასახულია მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების ცალკეული მედიატექსტების ენობრივი მახასიათებლები:

ტექსტი N4 - ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულება

ტოკენი	333
ტიპი	264
შეფარდება	79%
სიტყვათა სიმჭ.	0.793
წაკითხვადობის ინდექსი	29.969
სიტყვათა საშ. რაოდ.	15.9

ცხრილი 7: ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულების მედიატექსტის მონაცემთა სტატისტიკა

შდრ.:

ტექსტი N43 - ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები

ტოკენი	196
ტიპი	158
შეფარდება	81%
სიტყვათა სიმჭ.	0.806
წაკითხვადობის ინდექსი	20.593
სიტყვათა საშ. რაოდ.	24,5

ცხრილი 8: ჰუმანიტარული მიმართულების მედიატექსტის მონაცემთა სტატისტიკა

კვლევის პროცესში გამოკვეთილი ტენდენციების საილუსტრაციოდ მაგალითისთვის წარმოგიდგენთ ერთი მხრივ, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულების, მეორე მხრივ კი ჰუმანიტარული თემატიკის მედიატექსტების ემპირიულ მონაცემთა შედარებით ანალიზს ზემოაღნიშნული პარამეტრების მიხედვით:

კრიტერიუმი	ტექსტი N4 (ინჟ. და ტექნ.)	ტექსტი N43 (ჰუმანიტ.)
წაკითხვადობის ინდექსი	29.969	20.593
წინადადების საშ.სიგრძე	15.9	24,5
სიტყვათა სიმჭიდროვე	0.793	0.806

ცხრილი 9: სხვადასხვა თემატიკის მედიატექსტის მონაცემთა შედარება

მონაცემთა შედარება გვიჩვენებს, რომ ჰუმანიტარული მიმართულების მედიატექსტების წაკითხვალობის ინდექსი დაბალია (ე.ი. შედარებით რთული წასაკითხია), მათი ლექსიკური სიმჭიდროვე და წინადადებათა საშუალო სიგრძე კი აღემატება ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მეცნიერებათა თემატიკის ტექსტების მაჩვენებლებს.

ლინგვისტურმა პარამეტრებმა გამოავლინა საინტერესო კორელაცია წაკითხვალობის ინდექსსა, წინადადების სიგრძესა და ლექსიკურ სიმჭიდროვეს შორის:

- საბუნებისმეტყველო, მედიცინისა და ინჟინერიის თემატიკის სტატიებში წაკითხვალობის ინდექსი 20.678-იდან 29.969-ამდე მერყეობს, ჰუმანიტარული და სოციალური სფეროს მედიატექსტებში კი წაკითხვალობის ინდექსი უფრო დაბალია — 20.754-იდან 24.731-ამდე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ტექსტები აღქმის თვალსაზრისით უფრო რთული წასაკითხია.
- რაც შეეხება ხშირად გამოყენებულ სიტყვებს, ნაკრები ტექსტის (70 სტატიის) მიხედვით, კორპუსში ყველაზე ხშირად მეორდება გრამატიკული დამხმარე სიტყვები: „და“ (748), „რომ“ (467), „ამ“ (246), რაც მოსალოდნელი იყო, ხოლო ცალკეულ ტექსტებში დასტურდება სპეციფიკური ტერმინების გამოყენება: აქ წინა პლანზე იწევს თემატური სიტყვები (მაგ. ფარაონი, სამარხი, ტვინი, ელექტროკარდიოსტიმულატორი და ა.შ.); ასევე გვხვდება დარგობრივი ტერმინები, რაც ადასტურებს სტატიების სამეცნიერო-პოპულარულ და სპეციფიკურ შინაარსს.
- ჰუმანიტარული და სოციალური მიმართულების მედიატექსტებში მნიშვნელოვნად მაღალია წინადადებაში სიტყვების საშუალო რაოდენობა (მაგ. ტექსტი N43-ში — 24.5 სიტყვა, მაშინ როცა ტექნოლოგიურ ტექსტში N4 — 15.9 სიტყვა). ამ ცვლადებს შორის არსებობს უარყოფითი კორელაცია: ჰუმანიტარულ ტექსტებში თხრობა უფრო ვრცელია, სინტაქსური სტრუქტურა — რთული, ხოლო სემანტიკა მეტადაა გაჯერებული აბსტრაქტული ცნებებითა და დარგობრივი ჰუმანიტარული ტერმინოლოგიით (ლექსიკური სიმჭიდროვე — 0.806), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამეცნიერო ჟურნალისტები ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ტერმინოლოგიას მკითხველისთვის უფრო

ნაცნობად და იოლად აღსაქმელად მიიჩნევენ, ვიდრე საბუნებისმეტყველო, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მეცნიერებების ტექნიკურ ტერმინებს, რის გამოც ჰუმანიტარულ ტექსტებს ნაკლებად „განმარტავენ“ და სინტაქსურადაც უფრო ტვირთავენ.

5. დასკვნა

ჩატარებული კორპუსული კვლევის შედეგები იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სამეცნიერო ჟურნალისტიკის ციფრულ პლატფორმებზე გადანაცვლებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სამეცნიერო დისკურსის სტრუქტურა. მულტიმედიაური ფორმატებისა და ჰიპერტექსტუალობის მაღალი მაჩვენებელი (87%) უზრუნველყოფს ტექსტების ინტერაქტიულობასა და ინფორმაციულ სიღრმეს, რაც ზრდის მკითხველის ჩართულობას.

ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ მედიასივრცეში სამეცნიერო პუბლიკაციების ძირითადი წილი (81%) საბუნებისმეტყველო და სამედიცინო სფეროებზე მოდის, რაც საზოგადოებრივი ინტერესითაა განპირობებული. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი კორპუსის მასშტაბით ფუნქციური სიტყვების სიხშირე TTR-ის მაჩვენებელს ამცირებს (34%), ცალკეული სტატიების დონეზე დაფიქსირებული მაღალი ლექსიკური მრავალფეროვნება (60%-87%) და სტაბილურად მაღალი ლექსიკური სიმჭიდროვე (0.65-0.85) მიუთითებს იმაზე, რომ ქართული სამეცნიერო-პოპულარული მედიატექსტები ინფორმაციულად ტევადი და სემანტიკურად მდიდარია.

კვლევის უმნიშვნელოვანესი მიგნებაა დარგობრივი დისკურსის სპეციფიკა: ჰუმანიტარული მიმართულების მედიატექსტები ხასიათდება უფრო დაბალი წაკითხვადობის ინდექსით, მაღალი ლექსიკური სიმჭიდროვითა და გრძელი სინტაქსური კონსტრუქციებით (საშუალოდ 24.5 სიტყვა წინადადებაში), ვიდრე საბუნებისმეტყველო, მედიცინისა და ინჟინერიის მეცნიერებების პუბლიკაციები. ეს ადასტურებს, რომ ჟურნალისტები ჰუმანიტარულ ცნებებს საზოგადოებისთვის მეტად ნაცნობად მიიჩნევენ და ნაკლებად მიმართავენ მათ ადაპტაციას, რაც ამ ტექსტების აღქმას ართულებს.

სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენა, მეცნიერების ენისგან განსხვავებით, ნაკლებად ნეიტრალური, სუბიექტურია, მისთვის დამახასიათებელია შეფასებით-ემოციური კომპონენტი, ავტორის პოზიცია უფრო მკვეთრადაა გამოხატული.

საბოლოოდ, სამეცნიერო ჟურნალისტიკის ენა ციფრულ გარემოში წარმატებით ასრულებს თავის მთავარ ამოცანას — ახდენს რთული მეცნიერული ინფორმაციის კონვერტაციას სპეციფიკურ, ემოციურ-შეფასებით კომპონენტებით გამდიდრებულ სამეცნიერო-პოპულარულ ენაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

არაბული 2008: არაბული, ავთო; *ქართული მეტყველების კულტურა*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

ზაქარაშვილი 2021: ზაქარაშვილი, თინათინ; ,თანამედროვე ქართული მედიის ენა და მეტყველების კულტურა‘, *სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები*, 1, 138-148. <https://doi.org/10.51895/VSS1/Zakarashvili>

კვარაცხელია 1990: კვარაცხელია, გუჩა; *ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩიქობავა 1972: ჩიქობავა, არნოლდ; ,ქართული ენა, როგორც პოლივალენტური სალიტერატურო ენა‘, კრებულში: *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*, I, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 7-13.

Awagu 2021: Awagu, Ifeyinwa Virginia; ‘Language in Academic Writing: Features and Topical Issues’, *Linguistics and Literature Studies*, 9 (2), 2021, pp. 49-56.
<https://doi.org/10.13189/lis.2021.090201>

Batchelor 2024: Batchelor, Jordan; ‘Whose stance is it, anyway? A corpus based study of stance expressions in science news articles’, *Iberica* 47, pp. 93-120.
<https://doi.org/10.17398/2340-2784.47.93>

Carli & Calaresu 2007: Carli, Augusto; ‘Calaresu, Emilia; Language and Science’, In: M. Hellinger, A. Pauwels (Eds.): *Handbook of Language and Communication: Diversity and Change, Handbooks of Applied Linguistics (HAL)*, vol. 9, Mouton de Gruyter, Berlin – New York, pp. 524-554. [DOI: 10.1515/9783110198539.3.523](https://doi.org/10.1515/9783110198539.3.523)

Guenther & Weber 2019: Guenther, Lars; Weber, Antonia; ‘Science, journalism, and the language of (un)certainty: a review of science journalists' use of language in reports on science’, In: D. R. Gruber, L. C. Olman (Eds.): *The Routledge Handbook of Language and Science*, Routledge, pp.47-59.

Halliday 2004: Halliday, Michael Alexander Kirkwood; *The Language of Science*, The Collected Works of M. A. K. Halliday, vol. 5, Continuum International Publishing Group.

Hermida 2010: Hermida, Alfred; 'Revitalizing Science Journalism for a Digital Age', In: D. Kennedy, G. Overholser (Eds.): *Science and the Media, American Academy of Arts & Sciences*, pp. 80-88.

<https://www.amacad.org/sites/default/files/academy/pdfs/scienceMedia.pdf>

Persson et al. 2016: Persson, Tomas; af Geijerstam, Åsa; Liberg, Caroline; 'Features and Functions of Scientific Language(s) in TIMSS 2011', *Nordic Studies in Science Education* 12(2), pp. 176-196. DOI:10.5617/nordina.2425

Liu 2023: Liu, Renyi; 'Stylistic Characteristics of Scientific News', *Trends in Sociology*, 1(2), 2023. pp. 21–35. DOI: 10.61187/ts.v1i2.43.

Suhardja 2006: Suhardja, Imelda; *Scientific News as a Genre: a Linguistic Account of 'Distortion' of Scientific Information*;
<https://pgc.lel.ed.ac.uk/archive/2006/2006suhardja.pdf> (Last Access 10.08.2026).